ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3541099

ნომერი: AR1539551

თარიღი : 12.09.2017

გაცემის თარიღი : 15.09.2017

გაცნობის თარიღი : 15.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ჯავახეთის II , N1ა ; ქალაქი თბილისი , შესახვევი ჯავახეთის II , N1ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უშანგი ბურჭულაძე პ/ნ 01019010295
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 34 კორ. 14 ბ. 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად.

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 12 სექტემბრის AR1539551 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, შემდეგს: მოცემულ ტერიტორიაზე გრგ–ს პროექტის შეთანხმება განხორციელდა AR1413203 განაცხადის საფუძველზე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N328 განკარგულებით, სადაც სექტორი 2–ისთვის (სსზ–1) კ2 პარამეტრი დაფიქსირდა 4.0–მდე, ხოლო სექტორ 1–ში კ2 პარამეტრი (სზ–6) – 1.8;

გთხოვთ განმარტებით ბარათში და მოთხოვნის ტექსტში დააფიქსიროთ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების მომენტისთვის არსებული და კორექტირებული პროექტით დაგეგმილი, განაშენიანების კოეფიციენტი (კ–1)–ს და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ–2)–ს საშუალო მაჩვენებლები (მთლიანი ტერიტორიისთვის);

ამასთან გაცნობებთ რომ ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე განსახილველად საჭიროა გრგ პროექტი აკმაყოფილებდეს მინიმალურ მოთხოვნებს;
გრგ პროექტის შემადგენელობა იხ. დანართში;

პროექტი უნდა აიტვირთოს http://tas.ge/–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში. მხოლოდ გასწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, საკითხი განსახილველად გადაგზავნილი იქნება „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე. საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროექტთან დაკავშირებულ კონკრეტულ მითითებებსა და რეკომენდაციებს, სამსახური საჭიროებისამებრ, დამატებით მოგწერთ ქ. თბილისის საკრებულოში განსახილველად გადაგზავნამდე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.